

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს

შინაგან საქმეთა სამინისტროს

აკადემიის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 971908

26 აპრილი 2018

სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში მუდმივმოქმედი სპეციალური

საკონკურსო კომისიის და სამდივნოს შექმნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესი“-ს 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 24 დეკემბრის N975 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „მოვალეობის დროებით შესრულების დავალების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 01 მარტის N496978 ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1.სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში (შემდგომში - „აკადემია“) სპეციალური კონკურსის ორგანიზების მიზნით შეიქმნას მუდმივმოქმედი სპეციალური საკონკურსო კომისია (შემდგომში - „კომისია“) შემდეგი შემადგენლობით:

- 1.1) ივანე პაპიაშვილი - პოლიციის პოლკოვნიკი, რექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
- 1.2) ირინა აბრამიშვილი -პოლიციის მაიორი, პრორექტორი, კომისიის წევრი;

1.3) შორენა გაბიჩვაძე - პოლიციის პოლკოვნიკი, იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;

1.4) იოსებ ჭიჭიკაშვილი - პოლიციის მაიორი, პროფესიული მომზადების სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

1.5) გრიგოლ ვაშაყმაძე - პოლიციის პოლკოვნიკი, პროფესიული მომზადების სამმართველოს პოლიციელთა გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

1.6) თორნიკე გაბინაშვილი - პოლიციის პოლკოვნიკი, პროფესიული მომზადების სამმართველოს ტაქტიკური მომზადების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

1.7) ნინო მეტრეველი - პოლიციის უფროსი ლეიტენანტი, პროფესიული მომზადების სამმართველოს სწავლების ადმინისტრირების და მონიტორინგის განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;

1.8) თინათინ ზანძელაძე - პოლიციის ლეიტენანტი, ფსიქოლოგთა განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;

1.9) სალომე მამაგულაშვილი - ენის ცენტრის (განყოფილება) უფროსი, კომისიის წევრი;

1.10) სალომე ყვავაძე - პოლიციის უფროსი ლეიტენანტი, შსს გენერალური ინსპექციის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

2. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ასრულებს ამავე კომისიის წევრი, აკადემიის პრორექტორი - **ირინა აბრამიშვილი**.

3. აკადემიის მიერ სპეციალური კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით შეიქმნას სპეციალური საკონკურსო კომისიის სამდივნო (შემდგომში - „სამდივნო“) შემდეგი შემადგენლობით:

ა) (ამოღებულია. რექტორის ბრძანება **19.08.2019 N2196366**).

ბ) ქრისტინა კიკვაძე - ადმინისტრაციის (სამმართველო) ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ინსპექტორი.

4. დაევალოს კომისიის სამდივნოს სპეციალური საკონკურსო კომისიის საქმიანობისათვის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის ტექნიკურ დონეზე ვაკანტური თანამდებობების მიხედვით განაცხადების გადარჩევა, მათი დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრა და სპეციალური კომისიისთვის შესაბამისი განაცხადების წარდგენა.

5. დაევალოს აკადემიის ადმინისტრაციის (სამმართველო) საინფორმაციო-ტექნოლოგიების განყოფილებას სპეციალური კონკურსის ჩატარებისათვის საჭირო კომპიუტერული და პროგრამული უზრუნველყოფა და საკონკურსო განაცხადის/ების აკადემიის ოფიციალურ ვებ - გვერდზე განთავსებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში მუდმივმოქმედი სპეციალური საკონკურსო კომისიის და სამდივნოს შექმნის შესახებ“ სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2017 წლის 10 ივლისის N1645562 ბრძანება.

7. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი დაინტერესებულ პირთათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (ქ.თბილისი, გ.გულუას ქ. N10).

საფუძველი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის (დეპარტამენტის დირექტორი), პოლიციის კაპიტან ალექსანდრე ხოჯევანიშვილის 2018 წლის 17 აპრილის N888403 წერილი, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დირექტორის, პოლიციის პოლკოვნიკ - ზაზა ჩოხელის 2018 წლის 03 აპრილის N781648 სამსახურებრივი ბარათი და სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის ხელმძღვანელობის განკარგულება.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი	გამოყენებულია ელექტრონული	ივანე პაპიაშვილი
პოლიციის პოლკოვნიკი	ხელმოწერა	

შეტანილი ცვლილებები:

1. რექტორის ბრძანება 24.05.2018 N1225010

2. რექტორის ბრძანება 05.10.2018 N2435312

3. რექტორის ბრძანება 22.02.2019 N467660

4. რექტორის ბრძანება 25.02.2019 N485782

5. რექტორის ბრძანება 01.04.2019 N827298

6. რექტორის ბრძანება 19.08.2019 N2196366

7. რექტორის ბრძანება 20.08.2019 N2204995